

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება - სოციოლოგია
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - სოციოლოგიის ბაკალავრი
3. საბაკალავრო პროგრამის მოცულობა – 240 (ECTS) კრედიტი
4. სწავლების ენა – ქართული
5. პროგრამის ხელმძღვანელი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - კახა ქეცბაია
6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს კლასიკურ და თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიასა, დარგობრივ სოციოლოგიასა და კვლევის მეთოდოლოგიაში საბაზისო განათლების მიღება. გარდა ამისა, პროგრამა მოწოდებულია სტუდენტებს განუვითაროს პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. სოციოლოგიის დარგში სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, პრაქტიკული-ცხოვრებისეული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. თანამედროვე საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა კვალიფიციურ სოციოლოგიურ კადრებზე მზარდი მოთხოვნა წარმოშვა შრომის ბაზარზე. ამის გათვალისწინებით პროგრამა სწორედ თანამედროვე დასაქმების ბაზარზეა ორიენტირებული და შესაბამისად მიღწევადია.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სოციოლოგიური მეცნიერების თეორიული საფუძვლების, სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე განვითარების ტენდენციებისა და სოციოლოგიური მიდგომების ფართო და ყოვლისმომცველი ცოდნა. დაუფლებულია სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიას, მეთოდიკას და ტექნიკას და შეუძლია დამოუკიდებლად ჩაატაროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სოციოლოგიური გამოკვლევა. გაცნობიერებული აქვს სოციოლოგიური პრობლემებისადმი მიკრო და მაკრო მიდგომები და ხედვები; აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას პროფესიულ საქმიანობაში.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - სოციოლოგიის ბაკალავრს შეუძლია მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების მოძიება და გამოყენება; ზოგად სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული ცოდნა მას საშუალებას მისცემს სწორედ აღიქვას თანამედროვე საზოგადოების სოციალური პრობლემები და მათი განვითარების დინამიკა; გამომუშავებული აქვს სოციოლოგიური კვლევის მეთოდების

გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები; შეუძლია ზოგადად სოციალური პრობლემისა და თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, კვლევის ჩატარება და ანალიზი; დისკუსიაში საკუთარი აზრის დასაბუთება.

- **დასკვნის უნარი** - კურსდამთავრებულს შეუძლია კარგად განსაზღვრული კლასიკური და თანამედროვე სოციოლოგიური პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით. ასევე შეუძლია დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. ლოგიკური აზროვნება და კლასიკური სოციოლოგიური თეორიების კრიტიკული ანალიზი. ერთი და იგივე კლასიკური სოციოლოგიური თეორიის სხვადასხვა კუთხიდან დანახვა გაანალიზება, შემადგენელ ნაწილებად დაშლა და სინთეზირება.
- **კომუნიკაციის უნარი** - კურსდამთავრებული თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. შეუძლია განსხვავებული საინფორმაციო წყაროდან მიღებული ინფორმაციის შერჩევა, ანალიზი და შესაბამისი წინადადებისა და რეკომენდაციების მომზადება. თავისუფლად შეუძლია სოციალური მოვლენების შესახებ სხვადასხვა დისკუსიებში საკუთარი აზრის გამოხატვა და დასაბუთება, როგორც მშობლიურ ასევე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე.
- **სწავლის უნარი** - კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრა; ეფექტურად მუშაობა ჯგუფში; კვლევის ახალი თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ათვისება. სასწავლო პროცესის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება. შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა.
- **ღირებულებები** - შეუძლია აქტიური მონაწილეობის მიღება თანამედროვე საზოგადოებისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესში. რაც ითვალისწინებს თანამედროვე საზოგადოების ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევას, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრების პროცესის ხელშეწყობას, ცოდნა იმისა, თუ რა არის მოვალეობა, თავისუფლება, დემოკრატია, ტოლერანტობა, სოციალური სოლიდარობა, სოციალური სიკეთე, პლურალიზმი, საპირისპირო აზრის პატივისცემის უნარი, არგუმენტების მოყვანის უნარი და სხვ. სტუდენტი ფლობს ღირებულების სოციო-კულტურულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს. მას სახეზე აქვს ღირებულებათა იერარქიული შკალა რომელიც აძლევს საშუალებას შეადაროს რეალური ინდივიდუალური და ეროვნული, სამოქალაქო, ზოგადსაკაცობრიო და მრავალფეროვანი ღირებულებითი შკალები, სოციოლოგიითა და ფილოსოფიით დაფუძნებულ ღირებულებით შკალას.

9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

| # | სასწავლო კურსი/მოდული | კოდი | ECTS | სათემის რაოდენობა | | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით | | | | | | | | წინაპირობა |
|---|--|--|----------|-------------------|---------------|--|----------|----------|----------|---|----|-----|------|---|
| | | | | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | |
| | | | | | | | | | | | | | | |
| საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 69 კრედიტი | | | | | | | | | | | | | | |
| უცხო ენა - 18 კრედიტი | | | | | | 6 | 6 | 6 | | | | | | |
| ა) | ინგლისური ენა - დამწყებთათვის <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)</i> | | | | | | | | | | | | | |
| 1. | ინგლისური ენა I (Elementary A1) | ENGL B 001 | 6 | 65 | 85 | 6 | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 2. | ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2) | ENGL B 002 | 6 | 65 | 85 | | 6 | | | | | | | ENGL B 001 |
| 3. | ინგლისური ენა III (Intermediate B 1) | ENGL B 003 | 6 | 65 | 85 | | | 6 | | | | | | ENGL B 002 |
| ბ) | უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)</i> | | | | | | | | | | | | | |
| 1. | უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2 | ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011 | 6 | 65 | 85 | 6 | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 2. | უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1 | ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012 | 6 | 65 | 85 | | 6 | | | | | | | ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011 |
| 3. | უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2 | ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013 | 6 | 65 | 85 | | | 6 | | | | | | ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012 |
| 4. | დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (სოციოლოგია) | ENGL B 020 GERM B 020 FREN B 020 RUSS B 020 | 3 | 35 | 40 | | | | 3 | | | | | ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|-----|---|------------|---|----|----|---|---|--|--|--|--|--|--|--------------------|
| 5. | ფსიქოლოგიის შესავალი | PSYC B 101 | 6 | 65 | 85 | 6 | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 6. | სოციოლოგიის შესავალი | SOCI B 101 | 6 | 65 | 85 | 6 | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 7. | პოლიტიკური მეცნიერების შესავალი | POLS B 101 | 6 | 65 | 85 | 6 | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 8. | საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი | INRL B 101 | 3 | 35 | 40 | 3 | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 9. | აკადემიური წერა | ACAD B 101 | 3 | 35 | 40 | 3 | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 10. | ფსიქოლოგიის საფუძვლები | PSYC B 102 | 6 | 65 | 85 | | 6 | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 11. | ზოგადი სოციოლოგია | SOCI B 102 | 6 | 65 | 85 | | 6 | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 12. | პოლიტიკის თეორია | POLS B 106 | 6 | 65 | 85 | | 6 | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 13. | საოფისე პროგრამები | COMP B 125 | 3 | 35 | 40 | | 3 | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 14. | კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში | SOCI B 103 | 3 | 35 | 40 | | 3 | | | | | | | წინაპირობის გარეშე |

ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 75 კრედიტი

| | | | | | | | | | | | | | | |
|-----|--|------------|---|----|-----|--|--|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | კლასიკური სოციოლოგიური თეორიები | SOCI B 104 | 6 | 65 | 85 | | | 6 | | | | | | SOCI B 102 |
| 2. | ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგია | SOCI B105 | 3 | 35 | 40 | | | | 3 | | | | | SOCI B 102 |
| 3. | რელიგიის სოციოლოგია | SOCI B106 | 6 | 65 | 85 | | | 6 | | | | | | SOCI B 102 |
| 4. | პროტოსოციოლოგია | SOCI B107 | 6 | 65 | 85 | | | | 6 | | | | | SOCI B 102 |
| 5. | სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები | SOCI B108 | 6 | 65 | 85 | | | 6 | | | | | | SOCI B 102 |
| 6. | მონაცემთა ანალიზი | SOCI B126 | 6 | 65 | 85 | | | | | | 6 | | | SOCI B 102 |
| 7. | თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები | SOCI B 110 | 6 | 65 | 85 | | | | | | 6 | | | SOCI B 102 |
| 8. | დემოგრაფია | SOCI B 128 | 3 | 35 | 40 | | | | | 3 | | | | SOCI B 102 |
| 9. | სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები | SOCI B 111 | 6 | 65 | 85 | | | | 6 | | | | | SOCI B 102 |
| 10. | კულტურის სოციოლოგია | SOCI B 112 | 6 | 65 | 85 | | | | | | | 6 | | SOCI B 102 |
| 11. | ოჯახის სოციოლოგია | SOCI B 113 | 3 | 35 | 40 | | | | | 3 | | | | SOCI B 102 |
| 12. | სტატისტიკა | SOCI B 129 | 6 | 65 | 85 | | | | | 6 | | | | SOCI B 102 |
| 13. | სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი | SOCI B 114 | 6 | 65 | 85 | | | | | | | 6 | | SOCI B 102 |
| 14. | საბაკალავრო ნაშრომი | SOCI B 131 | 6 | 35 | 115 | | | | | | | | 6 | პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები |

ძირითადი (major) სპეციალობის არჩევითი კურსები - 27 კრედიტი

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - სოციოლოგია

- პროგრამის დასახელება - დამატებითი პროგრამა სოციოლოგია
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით - პროგრამის მოცულობა შეადგენს მთლიანობაში 60 (ECTS) კრედიტს, ხანგრძლივობა 5 (IV-VIII) სემესტრი , სემესტრში 12 კრედიტი
- სწავლების ენა - ქართული
- დამატებითი (minor) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
პროგრამაზე დაიშვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი სხვა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, რომლის სტრუქტურაც ითვალისწინებს დამატებით (minor) პროგრამას.
- პროგრამის მიზანი

სოციოლოგიის დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია დაინტერესებულ სტუდენტათვის უზრუნველყოს საბაზისო განათლების მიღება სოციოლოგიაში (კლასიკური და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები, დარგობრივი სოციოლოგიები და კვლევის მეთოდოლოგია). გარდა ამისა, პროგრამა მოწოდებულია სტუდენტებს განუვითაროს პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. სოციოლოგიის დარგში სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, პრაქტიკულ-ცხოვრებისეული, სოციალური და პოლიტიკური საქმიანობისათვის

- **სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სოციოლოგიური მეცნიერების თეორიული საფუძვლების, სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე განვითარების ტენდენციებისა და სოციოლოგიური მიდგომების ზოგადი ცოდნა. დაუფლებულია სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიას, მეთოდიკას და ტექნიკას და შეუძლია დამოუკიდებლად ჩაატაროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სოციოლოგიური გამოკვლევა. გაცნობიერებული აქვს სოციოლოგიური პრობლემებისადმი მიკრო და მაკრო მიდგომები და ხედვები; აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას პროფესიულ საქმიანობაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სოციოლოგიის ბაკალავრს შეუძლია მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების მოძიება და გამოყენება; ზოგად სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული ცოდნა მას საშუალებას მისცემს სწორედ აღიქვას თანამედროვე საზოგადოების სოციალური პრობლემები და მათი განვითარების დინამიკა; გამომუშავებული აქვს სოციოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები; შეუძლია ზოგადად სოციალური პრობლემისა და თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, კვლევის ჩატარება და ანალიზი; დისკუსიაში საკუთარი აზრის დასაბუთება.

დასკვნის უნარი - სტუდენტს შეუძლია კარგად განსაზღვრული კლასიკური და თანამედროვე სოციოლოგიური პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით. ასევე შეუძლია დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. ლოგიკური აზროვნება და კლასიკური სოციოლოგიური თეორიების კრიტიკული ანალიზი. ერთი და იგივე კლასიკური სოციოლოგიური თეორიის სხვადასხვა კუთხიდან დანახვა გაანალიზება, შემადგენელ ნაწილებად დაშლა და სინთეზირება.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებული თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. შეუძლია განსხვავებული საინფორმაციო წყაროდან მიღებული ინფორმაციის შერჩევა, ანალიზი და შესაბამისი წინადადებისა და რეკომენდაციების მომზადება. თავისუფლად შეუძლია სოციალური მოვლენების შესახებ სხვადასხვა დისკუსიებში საკუთარი აზრის გამოხატვა და დასაბუთება, როგორც მშობლიურ ასევე ერთ-ერთ უცხო ენაზე.

სწავლის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრა; ეფექტურად მუშაობა ჯგუფში; კვლევის ახალი თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ათვისება. სასწავლო პროცესის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება. შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა.

ღირებულებები - რამდენადაც სოციოლოგია არის ღია, დემოკრატიული საზოგადოების თეორია ამდენად ამ დარგის მომავალი სპეციალისტი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს თანამედროვე საზოგადოებისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესში.

• დამატებითი (Minor) პროგრამის სტრუქტურა

| # | სასწავლო კურსი/მოდული | კოდი | ECTS | სათემის რაოდენობა | | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით | | | | | | | | წინაპირობა |
|---|---|--|------|-------------------|---------------|--|----|-----|----|---|----|-----|------|--------------------|
| | | | | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | |
| | | | | | | | | | | | | | | |
| სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | ზოგადი სოციოლოგია | SOCI B 102 | 6 | 65 | 85 | | | | 6 | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 2. | სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები | SOCI B 108 | 6 | 65 | 85 | | | | | | 6 | | | SOCI B102 |
| 3. | პროტოსოციოლოგია | SOCI B 107 | 6 | 65 | 85 | | | | | | 6 | | | SOCI B102 |
| 4. | სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები | SOCI B 111 | 6 | 65 | 85 | | | | | | | 6 | | SOCI B102 |
| 5. | კულტურის სოციოლოგია | SOCI B 112 | 6 | 65 | 85 | | | | | | | | 6 | SOCI B102 |
| 6. | მონაცემთა ანალიზი | SOCI B 126 | 6 | 65 | 85 | | | | | | | | 6 | SOCI B102 |
| 7. | პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები | SOCI B 125 | 6 | 65 | 85 | | | | | 6 | | | | SOCI B102 |
| არჩევითი კურსები - 18 კრედიტი | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | - ფილოსოფიის შესავალი - პიროვნების სოციოლოგია - კლასიკური სოციოლოგიური თეორიები | PHLS B102 SOCI B 128 SOCI B 104 | 6 | 65 | 85 | | | | 6 | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 2. | - რელიგიის სოციოლოგია - სოციალური ფსიქოლოგია - საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR) | SOCI B 129 PSYC B 109 SOCI B 124 | 6 | 65 | 85 | | | | | 6 | | | | SOCI B102 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---------------------------|---|--------------------------------------|----------|-----------|-----------|--|--|--|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| 3. | <ul style="list-style-type: none"> - თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები - მედიის სოციოლოგია - სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი | SOCI B 110 SOCI B122 SOCI B122 | 6 | <i>65</i> | <i>85</i> | | | | | | | 6 | | SOCI B102 |
| ს უ ლ - 60 კრედიტი | | | | | | | | | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | |